ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 26 აპრილის N№24.242311623 ბრძანებით დამტკიცებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის

სხდომის ოქმი N8

ზუგდიდი, 20 ივლისი 2023 წელი

სხდომის ადგილი: ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. სხდომის დაწყების დრო 11:00 საათი.

დღის წესრიგი

1. ნიკოლოზ გვალიას საკითხის განხილვა

განსახილველად შემოგვაქვს ზუგდიდი, სპეციალისტების I შეს N3-ში მცხოვრები ნიკოლოზ გვალიას განცხადება (მერიაში რეგისტრაციის ნომერი N:19/2423177167-24), ნიკოლოზი არის აშშ-ს სამხედრო აკადემიის სამოქალაქო და მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი. ნიკოლოზი ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას. ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა; მუხლი 6.

2. ანა კოდუას საკითხის განხილვა

განსახილველად შემოგვაქვს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ანა კოდუას განცხადებები (მერიაში რეგისტრაციის ნომერი N:19/242317292-24, N:19/2423173159-24), ანა არის ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიოლოგიის მე-3 სემესტრის სტუდენტი. ანა ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას. ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა; მუხლი 6.

3. ლუკა კიტიას საკითხის განხილვა

განსახილველად შემოგვაქვს ზუგდიდი, კოსტავას ქ.N98 -ში მცხოვრები ლუკა კიტიას განცხადებები (მერიაში რეგისტრაციის ნომერი 19/2423181117-24,), ლუკა არის გერმანიის ქ.მარბურგის ფილიპეს უნივერსიტეტის კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის, ევროპული და რელიგიური მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტი. ლუკა ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას. ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა; მუხლი 6.

სხდომის თავმჯდომარე:

კონსტანტინე კაკავა- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის მდივანი:

ბელა ხუბუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი-კომისიის წევრი- კომისიის მდივანი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- **იდა ქვარაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- **ზამირა ღადუა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;
- **ზაზა გაბისონია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- **მონიკა შამათავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- **ნინო სიჭინავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- **ია ეხვაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურის და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.
- **მამუკა ბულია** - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურცენტრის უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი-კომისიის წევრი;

კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა:

- **კობა ჯიქია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;

- **გიგლა სულამანიძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- **ნათია ფიფია** - ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი - კომისიის წევრი.
- **მაგდალინა თოდუა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის -ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი;

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხიები.

პირველ საკითხად მოისმინეს: ზუგდიდი, სპეციალისტების I შეს N3-ში მცხოვრები ნიკოლოზ გვალიას განცხადება. ნიკოლოზი ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას.

მომხსენებელმა ზაზა გაბისონიამ კომისიას გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

აზრი გამოთქვეს:

კონსტანტინე კაკავა- ეს კომისია ნიჭიერ ახალგაზრდებს მუდმივად უჭერს მხარს და ნიკოლოზიც ერთ-ერთი მათგანია. ნიკოლოზი არის ჩვენი ქალაქის გამორჩეულად წარმატებული ახალგაზრდა. მისი მონდომება და დიდი შრომა, რომელსაც ის ეწევა აშშ-ს სამხედრო აკადემიაში, არის ძალიან საამაყო თითოეული ჩვენგანისთვის. ასეთი ახალგაზრდები შეცვლიან მომავალს და იმედს ვიტოვებ, რომ ის დაუბრუნდება ჩვენს ქვეყანას და გაუზიარებს საკუთარ გამოცდილებას. ამაყად ვუჭერ მხარს მის დაფინანსებას.

ზამირა ღადუა- ნიკოლოზი როგორც გამორჩეული ახალგაზრდა ნამდვილად იმსახურებს ჩვენს მხარდაჭერას. იგი ყოველთვის ჩართული იყო მერიის სხვადასხვა პროგრამაში. ნიკო როცა ჩამოდის საქართველოში, ყოველთვის მოდის მერიაში, გამოხატავს მადლიერებას ჩვენი კომისიის მიმართ, რაც ძალიან სასიამოვნოა. გვიზიარებს სამხედრო აკადემიაში სწავლის პირობებს და მიღწევებს. წარმატებები მინდა ვუსურვო და მხარი დაუჭირო მის დაფინანსებას.

მეორე საკითხად მოისმინეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ანა კოდუას განცხადებები. ანა ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას.

მომხსენებელმა ზაზა გაბისონიამ კომისიას გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

აზრი გამოთქვეს:

ზაზა გაბისონია- ანა ნიჭიერი და მიზანდასახული ახალგაზრდა. ბერლინის თავისუფალი უნივერისტეტის პროფესორის რეკომენდაციაში ანა 250 სტუდენტიდან ერთ-ერთი რჩეულთაგანია, რაც იმას ნიშნავს, რომ მან არა მარტო საკუთარი თავი წარმოაჩინა, არამედ თავისი ცოდნით, მონდომებით და შრომის მოყვარეობით ასახელა ზუგდიდის მუნიციპალიტეტი და ჩვენი ქვეყანა. მიმაჩნია, რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს დაფინანსების კრიტერიუმებს და მხარს ვუჭერ მის დაფინანსებას.

ბელა ხუბუა- ანა ერთერთი გამორჩეული ახალგაზრდაა. ის სკოლის პერიოდიდან ჩართული იყო სხვადასხვა პროგრამებში და საბოლოოდ მიაღწია იმ შედეგს რომ ის დღე სწავლობს ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში, არის გამორჩეული სტუდენტი. წარმატებებს ვუსურვებ ანას და მხარს ვუჭერ მის დაფინანსებას.

მესამე საკითხად მოისმინეს: ზუგდიდი, კოსტავას ქ.N98 -ში მცხოვრები ლუკა კიტიას განცხადებები. ლუკა ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას.

მომხსენებელმა ზაზა გაბისონიამ კომისიას გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

აზრი გამოთქვეს:

კონსტანტინე კაკავა- ლუკა არის მარბურგის ფილიპეს უნივერისტეტის სტუდენტი კულტურის მიმართულებით. ძალიან ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდაა. ჩვენს ქვეყანას და ქალაქს მინდა ვუსურვო ბევრი ლუკა, ნიკოლოზი და ანა. ამ კომისიის გადაწყვეტილება, თითოეული ახალგაზრდის მოტივაციისა და წარმატებისკენ მიმართული ნაბიჯი ქალაქის, ქვეყნის წარმატებული მომავლისკენ არის გადადგმული. დღევანდელ კომისიაზე წარმოდგენილი განცხადებები სხვადასხვა სფეროს მოიცავს და ყველა ეს ახალგაზრდა ძალიან წარმატებული და თავისი საქმის პროფესიონალი დაუბრუნდება ჩვენს ქვეყანას/ქალაქს.

კომისიის წევრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის შესაბამისად, გამოეყოთ ერთჯერადი ფულადი დახმარება ნიკოლოზ გვალიას, ანა კოდუას და ლუკა კიტიას **ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა მუხლი 6-ის შესაბამისად.**

გადაწყვეტილება:

1.ნიკოლოზ გვალიას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარი.

2.ანა კოდუას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარი.

3.ლუკა კიტიას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარი.

სხდომა დახურულად გამოცხადდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე:

კონსტანტინე კაკავა

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

იდა ქვარაია

კომისიის წევრები:

ზამირა ღადუა

მდივანი: ბელა ხუბუა

ნინო სიჭინავა

მამუკა ბულია

ზაზა გაბისონია

ია ეხვაია

მონიკა შამათავა